

## თეა გამრეკელი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი,  
საქართველო

### ბიზანტიელ ქალთა სახეები კონსტანტინოს კავაფისის ლექსების – „ანა კომნენა“ და „ანა დალასინის“ – მიხედვით

*საკვანძო სიტყვები: კავაფისი, ბიზანტია, „ალექსიკადა“, ანა კომნენა, ანა დალასინი*

მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან ევროპაში გაიზარდა ინტერესი ბიზანტიის ისტორიისა და კულტურის მიმართ. ბიზანტიისტიკა მეცნიერების დამოუკიდებელ დარგად ჩამოყალიბდა. ბიზანტია მოექცა არა მარტო მეცნიერების, არამედ ხელოვანთა ინტერესის სფეროში. იგი ხელოვნების ყველა დარგის წარმომადგენლებისთვის გახდა საინტერესო. ევროპაში სულ უფრო ხშირად ეწყობოდა გამოფენები ბიზანტიის თემაზე. 1913 წელს ფრანგმა რეჟისორმა ლუი ფიადმა გადაიღო ფილმი „ბიზანტიის აგონია“, რომლის თემა კონსტანტინოპოლის დაცემა იყო. ბიზანტიური სამოსის სტილი აქტუალური გახდა ევროპული, განსაკუთრებით კი პარიზული მოდის სახლებისთვის.<sup>1</sup>

---

<sup>1</sup> განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ესპანელი დიზაინერის მარიანო ფორტუნის (1871-1949) მიერ 1910 წელს ბიზანტიურ სტილში შექმნილი კაბა „ელეონორა“, რომელიც ინგლისელ მსახიობ ქალს, ალის ელენ ტერის, ეკუთვნოდა და გრაფინია ელიზაბეტ გრეფულის „ბიზანტიური კაბა“, რომელიც 1904 წელს მისი ქალიშ-

ბიზანტიის მიმართ ინტერესი მეოცე საუკუნის დასაწყისში საბერძნეთშიც გაიზარდა. თანამედროვე ბერძნების ეთნო-კულტურულ თვითგამორკვევას მათი წარსულისკენ მიბრუნება, ბიზანტიისკენ „შეტრიალება“ მოჰყვა. ბიზანტიური ცივილიზაციის პოპულარიზაცია თანდათან სახელმწიფოს პრიორიტეტად იქცა. 1913 წელს – თესალონიკში, ხოლო 1914 წელს ათენში დაარსდა ბიზანტიური მუზეუმი, რომელსაც 1923 წელს ქრისტიანული არქეოლოგიური საზოგადოების კოლექციაც შეუერთდა. ამავე წელს საბერძნეთის ეროვნულმა ბანკმა დაბეჭდა 500-დრაქმიანი, რომლის ერთ მხარეს ახლად შექმნილი სახელმწიფოს პირველი პრეზიდენტი, იოანის კაპოდისტრიასი, იყო გამოსახული, ხოლო მეორე მხარეს – ბიზანტიის სიმბოლო, აია სოფია. მცირე აზიის კატასტროფის შემდეგ საბერძნეთში გაჩნდა დევნილთა დასახლებები სახელწოდებით ვიზანდიო (ბიზანტია), ნეო ვიზანდიო (ახალი ბიზანტია)<sup>2</sup>. ადგილობრივი მოსახლეობა კონსტანტინოპოლიდან დევნილებს ბიზანტიელებს ეძახდა. მათ შორის დაპირისპირების თავიდან აცილების მიზნით გაზეთებში იწერებოდა სტატიები, რომლებიც ადგილობრივებისა და „ბიზანტიელების“ საერთო წარმომავლობას, მათ საერთო ისტორიულ წარსულს უსვამდა ხაზს. ბიზანტიური ცივილიზაცია მეოცე საუკუნის დასაწყისში ბერძენი მოსახლეობის ერთგვარი გამაერთიანებელი გახდა.<sup>3</sup>

საბერძნეთში გამართულ ბიზანტინისტიკის მესამე საერთაშორისო კონგრესზე თანამედროვე ბერძენი პოეტი კოსტის პალამასი მიიწვიეს და ბიზანტიურ ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და თანამედროვე ბერძნულ პოეზიაზე საუბარი სთხოვეს. თავის სიტყვაში პალამასმა აღნიშნა: „რაოდენ დიდც უნდა იყოს ანტი-

ვილის ქორწილისთვის შექმნა, სავარაუდოდ, ფრანგმა დიზაინერმა პოლ პუარემ (1879-1944). ორივე კაბა დღეს პარიზის მოდის მუზეუმშია დაცული.

<sup>2</sup> ეს დასახლებები თესალონიკსა და ნავპლიოში დღესაც ამავე სახელწოდებით არსებობს.

<sup>3</sup> Ροίπα 2012, 320.

კური სამყაროსა და მითოლოგიის გავლენა ჩვენს პოეზიაზე, ის არ არის ჩვენი ერთადერთი შთაგონების წყარო... ჩვენ ბიზანტიის მემკვიდრეები ვართ... ბიზანტია თანამედროვე ბერძნულ პოეზიაში თავის ადგილს იმკვიდრებს... თუმცა ეს გზის დასაწყისია, წინ კი გრძელი გზა გვაქვს.“<sup>4</sup>

ეს განცხადება გააკეთა პალამასმა ათენში 1930 წელს. შორეულ ალექსანდრიაში კი გაცილებით ადრე, ჯერ კიდევ 1892 წელს, კონსტანტინოს კავაფისმა ბერძნული დიასპორის გაზეთში გამოაქვეყნა სტატია „ბიზანტიელი პოეტები“, რომელშიც ცნობილი ბიზანტიელი პოეტების შემოქმედება მიმოიხილა და დასასრულს აღნიშნა: „ბიზანტიური პოეზიის ამ ერთობ მოკლე ზოგად მიმოხილვას დაჯერდები, თუმცადა ამ მიმოხილვით მკითხველი მიხვდება, რომ თემა საკმაოდ ვრცელია და თანამედროვე მეცნიერთა მიერ შესწავლის ღირსი. დიდი ბედნიერება იქნება, თუკი რომელიმე ბერძენი მწერალი – რაღა თქმა უნდა ღირებული, მჭევრმეტყველი მწერალი – ბიზანტიური ლიტერატურის განვითარების ეტაპებისა და სულისკვეთების შესახებ მოგვითხრობს და დღის სინათლეზე გამოიტანს მის სილამაზესა და სინატიფეს.“<sup>5</sup>

საინტერესოა, რას იტყოდა კონსტანტინოს კავაფისი, მნიშვნელოვან თანამედროვე ბერძენ პოეტად რომ ჩაეთვალიათ და 1930 წელს ათენში გამართულ ბიზანტინისტთა კონგრესზე მიეწვიათ? სათქმელი მას უდავოდ ბევრი ჰქონდა. კავაფისის ლექსების დიდი ნაწილი ბიზანტიას, ბიზანტიის ისტორიას, კულტურას, ბიზანტიელ იმპერატორებსა და მათი ოჯახის წევრებს ეხება. ალექსანდრიელი პოეტის ინტერესი ბიზანტიის მიმართ მისი პოეტური მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში ვლინდება და მთელ მის შემოქმედებას გასდევს. ეს ინტერესი, გარკვეულწილად, პოეტის წარმომავლობით იყო განპირობებული. კონსტანტინოს კავაფისი,

<sup>4</sup> Παλαμάς 1930, 1180.

<sup>5</sup> Καβάφης 1982, 46.

რომელმაც ახალგაზრდობის წლები დედის მშობლიურ ქალაქში, კონსტანტინოპოლში, გაატარა, თავს ბიზანტიური სამყაროს მემკვიდრედ მიიჩნევდა. კავაფისი, როგორც თავად ამბობდა, „პოეტი-ისტორიკოსი“ იყო. იგი ლექსებს თხზავდა და ისტორიას წერდა. მან თავისი ისტორიული და ფსევდოისტორიული ლექსები თემატურ კატეგორიებად დაჰყო. ბიზანტიის თემაზე შემქნილი ლექსები კავაფისმა ერთ ჯგუფში გააერთიანა და კრებულს „ბიზანტიური ღღეები“ (Βυζαντινὰί Ημέραι) უწოდა. ამ კრებულში ძირითადად ბიზანტიის იმპერიის გვიანდელი ხანის იმპერატორებისა და მათი საგვარეულოს წარმომადგენლებისადმი მიძღვნილი ლექსებია თავმოყრილი. განსაკუთრებულ ინტერესს კი კავაფისი კომნენოსთა დინასტიის წარმომადგენლების მიმართ იჩენდა.

ჩვენი სტატია ორ ცნობილ ბიზანტიელ ქალს – ანა კომნენესა და ანა დალასინის, ალექსი I კომნენოსის ქალიშვილსა და დედას ეხება. სტატიაში განვიხილავთ ლექსებს „ანა კომნენე“ და „ანა დალასინი“, რომლებიც კავაფისმა ცნობილი ისტორიული ძეგლის, „ალექსიადის“ მიხედვით შექმნა და ვნახავთ, რა არის მნიშვნელოვანი და საყურადღებო კავაფისისთვის, როგორც ისტორიკოსისა და როგორც პოეტისათვის, როგორ იყენებს იგი თავის ლექსებში ისტორიულ ინფორმაციას და როგორ გამოხატავს თავის პოეტურ სათქმელს ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

„ალექსიადის“ ავტორი, ანა კომნენე, მე-12 საუკუნეში ბიზანტიის იმპერიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მისი ძმის, იოანეს, დაბადებამდე ანას ტახტის თანამემკვიდრედ მიიჩნევდნენ, თუმცა ალექსი კომნენოსის გარდაცვალების შემდეგ, 1118 წელს, იმპერატორის ტახტი იოანემ დაიკავა. ანა თავისი ქმრის, ნიკიფოროს ვრიენიოსის, დახმარებით შეეცადა ტახტიდან ჩამოეგდო საკუთარი ძმა, მაგრამ ნიკიფოროსმა ამ განზრახვის აღსრულებაზე უარი თქვა და შეთქმულება ჩაიშალა. ქმრის გარდაცვალების შემდეგ, პოლიტიკაში ხელმოცარული და იმედ-

გაცრუებული ანა მონასტერში წავიდა და მამის ბიოგრაფია, „ალექსიადა“ დაწერა.

„ალექსიადა“ შესავლისა და თხუთმეტი თავისგან შედგება. ამ თხზულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ნიკიფოროს ვრიენიოსის ისტორიული ჩანაწერები იყო. პირველი თავის ნაწილი ანამ კომნენემ სწორედ ქმრის ჩანაწერებზე დაყრდნობით შექმნა.<sup>6</sup> „ალექსიადაში“ შეთქმულების შესახებ არაფერია ნახსენები, თავად ანა კი მამის მოყვარულ, სათნო, თავმდაბალ და მგრძობიარე ქალადაა წარმოჩენილი. აღსანიშნავია, რომ ამ ისტორიულ თხზულებაში ანა კომნენე ხშირად მოიხსენიებს და განსაკუთრებული ემოციურობით აღწერს ნახევრად ქართველ უფლისწულს, მიხეილ VII დუკასა და ბაგრატ IV-ის ქალიშვილის, მართას (შემდგომში მარიამის<sup>7</sup>), ძეს, კონსტანტინე პორფიროგენეტს, რომელზეც ის რამდენიმე წლის განმავლობაში დანიშნული იყო: „როგორც ბუნების ძეგლი ისეთი იყო ის ყმაწვილი და ღვთის ნახელარი საჩუქარი, თუ შეიძლება ასე ითქვას; თუ კი ვინმეს დაუნახავს მაინც, იტყოდა, რომ ეს ოქროს მოდგმის ნაშიერი არისო, როგორც ეს ელინურ მითებშია მოთხრობილი; ასეთი უბადლო სილამაზისა იყო. ამდენი წლის შემდეგაც რომ ვიგონებ იმ ყმაწვილს, ცრემლებით ვივსები: მაგრამ ვიკავებ ცრემლებს და ხელსაყრელ შემთხვევებისთვის შევინახავ, რათა, ჩემი პირადი ჰანგების შერევით საისტორიო მოთხრობებში, თვით ისტორიაში არ შევიტანო არეზდარევა.“<sup>8</sup> „ის ჰგავდა ციურ სილამაზეს და არა მიწიერს. ვინც მას დაინახავდა, უთუოდ იტყოდა, რომ ასე ხატავენ ეროსს.“<sup>9</sup>

<sup>6</sup> Καπρόγλιος 2009, 404.

<sup>7</sup> ანა კომნენეს დედოფალ მარიამთან განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდა. დედოფალმა მცირეწლოვანი ანა სასახლეში წაიყვანა და საკუთარი შვილივით გაზარდა: „მე ხომ ბავშვობიდანვე, ჯერ კიდევ რვა წლისა ძლივს ვიყავი, ვიზრდებოდი დედოფალთან. ძალიან ვუყვარდი მას და ყველა საიდუმლოს მიზიარებდა მე.“ ყაუხჩიშვილი 1966, 64.

<sup>8</sup> ყაუხჩიშვილი 1966, 40.

<sup>9</sup> ყაუხჩიშვილი 1966, 64.

ანა კომნენე იშვიათი მხატვრულობით აღწერს ბიზანტიის ქართველი დედოფლის სილამაზესაც: „დედოფლის სილამაზე და მისი მომაჯადოებელი მიმზიდველობა, მისი ზნის სანდომიანობა – ყველაფერი ეს აღემატება ფერწერას და ხელოვნებას. არც პელებს, არც ფიდიასს, არც რომელსამე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია ამის მსგავსი რამ ქანდაკება [...] ასეთი თანაზომიერება ასოთა და ნაკვთთა, ასეთი შეხამება მთელისა ნაწილებთან და ნაწილებისა მთელთან, მართლაც რომ არავის არასდროს არ უნახავს ადამიანის სხეულში. ეს იყო ცოცხალი ქანდაკება, რომელიც ხიბლავდა მშვენიერების მოყვარულთ. ეს იყო თვით იმეროსი, რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე.“<sup>10</sup>

როგორც კავაფისის ხელნაწერებიდან ირკვევა, იგი „ალექსიადას“ 1914 წელს უკვე იცნობდა. ამ ისტორიული ძეგლის ერთ-ერთ ეპიზოდთან დაკავშირებით პოეტი იმასაც აღნიშნავდა, რომ მშვენიერი თემა იყო ლექსისთვის.<sup>11</sup> ამ თხზულების გარდა, კავაფისი ფრანგი ისტორიკოსის შარლ დილის, ბერძენი ისტორიკოსის კონსტანტინოს პაპარიდოპულოსისა და სხვათა ნაშრომებსაც იცნობდა,<sup>12</sup> სადაც ანა ძალაუფლებისათვის მებრძოლ, ამბიციურ ქალადაა წარმოდგენილი.

ვინ იყო სინამდვილეში ანა კომნენე – ამბიციური, ძალაუფლების მოყვარე და ძმის მოძულე ქალი თუ თავმდაბალი, მგრძნობიარე, საწყალობელი ქვრივი და ობიექტური ისტორიკოსი? კონ-

<sup>10</sup> ყაუხჩიშვილი 1966, 68-69.

<sup>11</sup> 1914 წელს ჟურნალში „ნეა ზოი“ დაიბეჭდა კონსტანტინოს კავაფისის სტატია ბერძნული ხალხური სიმღერების შესახებ. სტატიაში პოეტი „ალექსიადას“ ახსენებს და აღნიშნავს: „დიდი მღელვარებით და თანაგრძნობით მავსებს ისტორიის იმ ფურცლების კითხვა, სადაც (მწერალი) კომნენოსების სახლში წარმოქმნილი დიდი საფრთხის შესახებ გვიყვება: „კარგი აღანი, წოდებით მაგისტროსი, სამეფო ოჯახს დაახლოებული [...] შუადამისას გამოდის და მიდის კომნენოსებთან, რათა ყველაფერი მოახსენოს დიდ დომესტიკოსს.“ რა მშვენიერი თემაა ლექსისათვის...” Καβάρη 1982, 90-91.

<sup>12</sup> Μαλάνος 1933, 342-345.

სტანტინოს კავაფისი ამ კითხვაზე ძალზე საინტერესოდ პასუხობს ლექსში „ანა კომნენე“:

### **Άννα Κομνηνή**

Στον πρόλογο της Αλεξιάδος της θρηνεί,  
για την χηρεία της η Άννα Κομνηνή.

Εις ἴλλιον εἶν' ἡ ψυχὴ της. «Καὶ  
ῥεῖθροις δακρύων» μας λέγει «περιτέγγω  
τοὺς ὀφθαλμούς..... Φεῦ τῶν κυμάτων» της ζωῆς της,  
«φεῦ τῶν ἐπαναστάσεων». Τὴν καίει ἡ οδύνη  
«μέχρις ὁστέων καὶ μυελῶν καὶ μερισμοῦ ψυχῆς».

Όμως ἡ ἀλήθεια μοιάζει πού μια λύπη μόνην  
καιρίαν ἐγνώρισεν ἡ φίλαρχη γυναικί·  
έναν καημὸ βαθὺ μονάχα εἶχε  
(κι ἄς μὴν τ' ὁμολογεί) ἡ ἀγέρωχη αὐτὴ Γραικιά,  
πού δεν κατάφερε, μ' ὄλην τὴν δεξιότητά της,  
τὴν Βασιλείαν ν' ἀποκτήσει· μα τὴν πῆρε  
σχεδὸν μέσ' ἀπ' τὰ χέρια της ὁ προπετὴς Ἰωάννης.<sup>13</sup>

### **ანა კომნენე**

„აღუქსიადის“ პროლოგში მოთქვამს,  
ქვრივობის გამო ანა კომნენე.

არეულია მისი სული. „და  
ღვარი ცრემლთა“, გვეუბნება, „მდის  
თვალთაგან . . . ვაგლან ტალღებს“ მისი ცხოვრების,

<sup>13</sup> Καβάφης 2002, 26.

„ვაგლახ ამბოხებებს“. მას დარდი ღრღნის  
„ძვლებამდე და სულის ხლეჩამდე“.

თუმცა სიმართლეს ის უფრო ჰგავს, რომ სხვა რამეზე  
წუხდა ძალაუფლების მოყვარე ქალი,  
ერთი დარდი ჰქონდა მხოლოდ  
ამ ამპარტავან ბერძენ ქალს (თუმც არ ამხელს),  
მთელი თავისი სიმარჯვით ვერ მოახერხა, რომ  
სამეფო ტახტი დაესაკუთრებინა. ის წაართვა,  
თითქმის ხელიდან გამოგლიჯა თავხედმა იოანემ.<sup>14</sup>

ლექსი „ანა კომნენე“, რომელიც 1917 წელს დაიწერა, სამი სტროფისა და თოთხმეტი სტრიქონისგან შედგება. პირველი სტროფი გვამცნობს, რომ ანა კომნენე თავის ქვრივობის გამო ტირის: „ალექსიადის“ პროლოგში მოთქვამს, ქვრივობის გამო ანა კომნენე“. მეორე სტროფი, ფაქტობრივად, არის ნაწყვეტი „ალექსიადიდან“: „არეულია მისი სული. „და ღვარი ცრემლთა“, გვეუბნება, „მდის თვალთაგან . . . ვაგლახ ტალღებს“ მისი ცხოვრების, „ვაგლახ ამბოხებებს“. მას დარდი ღრღნის „ძვლებამდე და სულის ხლეჩამდე“. მესამე სტროფი კი გვაუწყებს ანა კომნენეს გლოვის ნამდვილ მიზეზს: „თუმცა სიმართლეს ის უფრო ჰგავს, რომ სხვა რამეზე წუხდა ძალაუფლების მოყვარე ქალი, ერთი დარდი ჰქონდა მხოლოდ ამ ამპარტავან ბერძენ ქალს (თუმც არ ამხელს), მთელი თავისი სიმარჯვით ვერ მოახერხა, რომ სამეფო ტახტი დაესაკუთრებინა. ის წაართვა, თითქმის ხელიდან გამოგლიჯა თავხედმა იოანემ.“

ამ მცირე ზომის ლექსს პოეტური აზრის განვითარების საკუთარი ლოგიკა აქვს. „ალექსიადის“ შესავალში ანა კომნენე ხშირად

<sup>14</sup> ლექსის ბწკარედული თარგმანი აქაც და შემდგომაც შესრულებულია სტატიის ავტორის მიერ.



მოიხსენიებს თავის ქმარს და ხოტბას ასხამს მას, კავაფისის ლექსში კი ნიკიფოროსი, რომლის გარდაცვალების გამოც მოთქვამს ანა, მოხსენიებული საერთოდ არ არის. ლექსის პირველ სტროფში ანა თავის ქვრივობის გამო ტირის. ანა კომნენესთვის დაქვრივება სამეფო ტახტთან გამოთხოვებას ნიშნავდა, რადგან ნიკიფოროსთან ერთად მისთვის იმპერატორის ტიტულის მოპოვების იმედიც მოკვდა.<sup>15</sup> ჩნდება ეჭვი, რომ ანა მოთქვამს არა ქმრის გარდაცვალების, არამედ იმ შანსის დაკარგვის გამო, რომელსაც მისთვის ძალაუფლება უნდა მოეტანა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ლექსის პირველივე სტროფი ანას გულწრფელობას ეჭვქვეშ აყენებს.

ლექსის მეორე სტროფში „ალექსიადიდან“ მოყვანილი ციტატა სახეცვლილი ფორმითაა წარმოდგენილი მესამე პირში, ციტატის მთლიანობა კი დარღვეულია სიტყვით „გვეუბნება“, თითქოს პოეტს სარწმუნოდ არ მიაჩნდეს ანას სიტყვები.<sup>16</sup> „ალექსიადის“ ავტორისადმი გამოხატული ამ ერთგვარი უნდობლობის შემდეგ მესამე სტროფში ანა კომნენეს გლოვის ნამდვილი მიზეზია დასახელებული.

ვფიქრობთ, რომ კავაფისი წრიული კომპოზიციის საშუალებით საუკეთესოდ ახერხებს ანა კომნენეს იმ ორი განსხვავებული სახის წარმოჩენას, რომელიც, ერთი მხრივ, „ალექსიადამ“, ხოლო, მეორე მხრივ, სხვა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახა. ამისათვის პოეტი ცნობილი თხზულებიდან მოყვანილი ციტატის გარშემო ანტითეზის სახით განალაგებს ანას ორ განსხვავებულ სურათს. დაპირისპირებას აძლიერებს პოეტის მიერ შერჩეული ეპითეტებიც. ცნობილია, რომ იოანე, თავისი დიდსულოვნებისა და

<sup>15</sup> ბერძენი კრიტიკოსის იორდოს სავიდისის თქმით, ნიკიფოროსის გარდაცვალებამ ანას დაუკარგა „ყოველი იმედი ამა სოფლისა.“ Καβάρης 2002, 112.

<sup>16</sup> ბერძენი მეცნიერის კატერინა კოსტიუს დაკვირვებით, კავაფისი „თქმა“ ზმნის სხვადასხვა ფორმას ხშირად ისეთ შემთხვევაში იყენებს, როდესაც სიტყვების ნამდვილობა სათუთა, როცა სიტყვას საქმე უპირისპირდება. Κωστίου 2015, 160.

ზნეობრივი სიწმინდის გამო ისტორიაში „Καλογέννητος“ სახელით შევიდა, რაც ქართულად „იოანე კარგს, ღირსეულს“ ნიშნავს. კავაფისის ლექსში კი იგი „თავხედად“ არის მოხსენიებული. თავად ანა კომნენეს კავაფისი „ძალაუფლების მოყვარე“, „ამპარტავან“ ქალს უწოდებს, მაშინ როცა „ალექსიადაში“ იგი გულჩვილ, თავმდაბალ და სათნო ადამიანადაა წარმოჩენილი. პოეტს ეს ეპითეტები შემთხვევით არ შეურჩევია – „πρωτέτης“ (თავხელი) და „φιλαρχη“ (ძალაუფლების მოყვარე) დილის, პაპარიდოპულოსისა და ხონიატისის ისტორიულ წყაროებიდან ნასესხები სიტყვებია.<sup>17</sup> ყურადღებას იქცევს ასევე ორი სიტყვა: „Γραϊκιά“<sup>18</sup> (ბერძენი ქალი), რომლითაც პოეტი ანა კომნენეს მოიხსენიებს და რომელშიც გარკვეული ირონია ჩანს და „Βασίλειά“ (მეფობა, სამეფო ტახტი), რომელიც დიდი ასოთი წერია და, სავარაუდოდ, ხაზს უსვამს იმას, რომ ანასათვის მეფობას, სამეფო ტახტის მოპოვებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

როგორც ვხედავთ, კავაფისი „ანა კომნენეში“ თითოეულ სიტყვას საგულდაგულოდ არჩევს. იგი არ ერიდება პირველწყაროდან მოყვანილი ციტატის შეცვლასაც იქ, სადაც ამას პოეტური აზრის განვითარების ლოგიკა კარნახობს და მის ხელთ არსებული ყველა საშუალებით ცდილობს, რაც შეიძლება რელიეფურად გამოკვეთოს თავისი სათქმელი.

„ალექსიადის“ მიხედვით კავაფისმა 1927 წელს კიდევ ერთი ლექსი შექმნა, რომელიც ასევე მნიშვნელოვან ბიზანტიელ ქალს, ანა კომნენეს ბებიას, ანა დალასინის ეძღვნება:

<sup>17</sup> Κωστίου 2015, 161.

<sup>18</sup> კონსტანტინოს კავაფისი ბიზანტიის თემაზე შექმნილ ლექსებში ტერმინის Ἑλληνας/Ἑλληνίδα ნაცვლად ხშირად იყენებს Γραϊκος/Γραϊκιά-ს, რომლითაც იგი ბიზანტიის მკვიდრს აღნიშნავს.

### Άννα Δαλασσηνή

Εις το χρυσόβουλον που έβγαλ’ ο Αλέξιος Κομνηνός  
για να τιμήσει την μητέρα του επιφανώς,  
την λίαν νοήμονα Κυρίαν Άννα Δαλασσηνή —  
την αξιόλογη στα έργα της, στα ήθη —  
υπάρχουν διάφορα εγκωμιαστικά:  
εδώ ας μεταφέρουμε από αυτά  
μια φράσιν έμορφην, ευγενική  
«Οὐ τὸ ἔμὸν ἢ τὸ σόν, τὸ ψυχρὸν τοῦτο ρῆμα, ἐρρήθη».<sup>19</sup>

### ანა დალასინი

ოქროს ბუღაში, რომელიც ალექსი კომნენოსმა შექმნა,  
რათა ღირსეულად დაეფასებინა დედამისი,  
ფრიად გონიერი ქალბატონი ანა დალასინი —  
დიდებული თავისი საქმით, ზნით —  
სხვადასხვა სადიდებელია:  
მათგან აქ გადმოვიტანოთ  
ერთი ლამაზი, კეთილშობილური ფრაზა  
„ჩემი თუ შენი, ეს სიტყვა ცივი, მათ შორის არ თქმულა.“

ლექსი „ანა დალასინი“ რვა სტრიქონისაგან შედგება. ლექსის უკანასკნელი სტრიქონი „ალექსიადის“ ერთ ცნობილ ფრაზას იმეორებს: «Οὐ τὸ ἔμὸν ἢ τὸ σόν, τὸ ψυχρὸν τοῦτο ρῆμα, ἐρρήθη» [3.6.4.]<sup>20</sup> (ჩემი თუ შენი, ეს სიტყვა ცივი, მათ შორის არ თქმულა).

ლექსში მოხსენიებული ოქროს ბუღა ალექსი კომნენოსმა 1081 წელს შეადგინა, როდესაც ნორმანების წინააღმდეგ საომრად გაემართა და იმპერიის მართვა დედამისს მიანდო. იმის გათვალისწინებით, რომ ბიზანტიის იმპერიაში ტახტს არაკანონიერად, ძალით ხშირად ითვისებდნენ და ზოგჯერ ერთმანეთს ოჯახის წევ-

<sup>19</sup> Καβάφη 2002, 62.

<sup>20</sup> Comnena 1839.

რებიც უპირისპირდებოდნენ, ანას ერთგულება დასაფასებელია. ალექსი დედის მადლიერია და ერთგულებასთან ერთად, დიდებული ქალის გონიერებას, საქმესა და ზნესაც აფასებს. მართალია, ანას ტახტის ძალისმიერ მითვისებაზე არ უფიქრია, მაგრამ, როგორც მისი თანამედროვე ისტორიკოსი, იოანის ზონარასი, აღნიშნავდა, იმპერატორის ძალაუფლება ალექსის ომიდან დაბრუნების შემდეგაც შეინარჩუნა და იმპერიას საკმაოდ დიდხანს მართავდა. იგი ისე ღომინირებდა თავის ვაჟზე, რომ, ზონარასის თქმით, „ალექსი მხოლოდ სიტყვითღა იყო იმპერატორი“.<sup>21</sup> კონსტანტინოს კავაფისი, როგორც ჩანს, ზონარასის ნაშრომს სარწმუნოდ მიიჩნევდა.<sup>22</sup> ალექსანდრიელი პოეტი ბიზანტიელი იმპერატორების სახელს წინ «κῦριος» ურთავდა, რაც ქართულად „ბატონს“, „მმართველს“, „მთავარს“ ნიშნავს. ლექსში „ანა დალასინი“ კავაფისი ანას დალასინის ქალბატონად მოიხსენიებს, ალექსის კი ბატონად – არა, რითაც პოეტი გარკვეულ ირონიას გამოხატავს და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ალექსი კომნენოსი ანა დალასინის ექვემდებარებოდა.

ანა დალასინის ძალაუფლების მოყვარეობას ნიკიფოროს ვრინიოსიც აღნიშნავდა. ანას ქმარი, იოანე კომნენოსი, იმპერატორ ისააკ I კომნენოსის ძმა იყო. როდესაც ისააკის შემდეგ საიმპერატორო ტახტი იოანეს შესთავაზეს, მან უარი განაცხადა. ანა ტირილით ემუდარებოდა ქმარს, დათანხმებულიყო, მაგრამ ვერაფრით დაიყოლია იგი და, ნიკიფოროსის თქმით, ძალიან განაწყენდა.<sup>23</sup> იოანეს გარდაცვალების შემდეგ ანა დალასინიმ გარკვეულ სტრატეგიას მიმართა. მან თავისი შვილები იმ პერიოდში ბიზანტიაში ღომინირებული ყველა არისტოკრატიული გვარის წარმომადგენლებზე დააქორწინა. ეს იყო მისი Modus operandi. ანა და-

<sup>21</sup> Zonarae 1871, 245.

<sup>22</sup> უნდა აღინიშნოს, რომ კავაფისი თავის კრიტიკულ წერილებში ხშირად იმონებდა ზონარასის ნაშრომს. იხ. Καβάρης 1982, 112.

<sup>23</sup> Garland 1999, 187. Βαργός 1984, 49-50.

უმოყვრდა ტახტის ყველა სავარაუდო პრეტენდენტის ოჯახს. ვის ხელშიც უნდა აღმოჩენილიყო ძალაუფლება, კომუნენოსები საიმპერატორო კართან დაახლოებულები იქნებოდნენ.<sup>24</sup>

როგორც ისტორიული წყაროები გვამცნობენ, მე-11 საუკუნეში დიდგვაროვან ქალებს ბიზანტიაში საკმაოდ დიდი ძალაუფლება ჰქონდათ და შეეძლოთ გადამწყვეტი როლი ეთამამათ იმპერიის პოლიტიკაში. ზოგადად იმ პერიოდში ქალთა უფლებები და თავისუფლება დაფასებული იყო. მათი მონაწილეობის გარეშე არც ერთი რელიგიური, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ღონისძიება არ ჩაივლიდა.<sup>25</sup> ანას ამბოხების მცდელობაც იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ მას ძმის თანასწორად მიაჩნდა თავი და ფიქრობდა, რომ ქალს იგივე უფლებები ჰქონდა, რაც მამაკაცს. ანა კომნენე, როგორც იმპერატორის უფროსი შვილი, სავარაუდოდ, თავს ტახტის მემკვიდრედ მიიჩნევდა. იგი ბავშვობიდან მიაჩვიეს იმ აზრს, რომ შეიძლებოდა იმპერატორი გამხდარიყო, ამიტომ ძალაუფლების მოპოვების მოლოდინი მას „სამუდამოდ აღებეჭდა გონებაში“.<sup>26</sup> ანა დალასინიმაც, მართალია, იმპერიის მართვის სადავეები საკუთარ ხელში შვილის თხოვნით აიღო, მაგრამ ძალაუფლებას დიდხანს ვერ შეეღია. ფაქტობრივად, ანა დალასინი მართავდა იმპერიას, ალექსი კი მისი მორჩილი იყო. თუმცა არ ვიცით, ალექსის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში როგორ განვითარდებოდა მოვლენები. ზონარასის ისტორიაში იმასაც ვკითხულობთ, რომ ალექსი დედის მორჩილებაში ყოფნამ დატალა და მისგან თავის დასაცავად იგი მონასტერში გააგზავნა.<sup>27</sup>

„ალექსიადაში“ ანა დალასინი გონიერ მმართველადაა მოხსენიებული. ამ ისტორიულ ნაშრომში ჩანს თავად მისი ავტორის,

<sup>24</sup> Hill 1999, 142-143.

<sup>25</sup> Ροδόκωνάκης 2010, 28.

<sup>26</sup> McCarty 2016, 172.

<sup>27</sup> Zonarae 1871, 245.

ერთ-ერთი პირველი ისტორიკოსი ქალის, ანა კომნენეს, განსწავლულობაც. კონსტანტინოს კავაფისი ადფრთოვანებულია დიდებული ბიზანტიელი ქალების ნიჭითა და გონიერებით. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ანა კომნენეს ისტორიული ნაშრომის კითხვა პოეტს დიდი მღელვარებითა და თანაგრძნობით ავსებდა.<sup>28</sup> თავის ლექსში კონსტანტინოს კავაფისი ასევე დიდ ადფრთოვანებას გამოხატავს ანა დალასინის, როგორც დედისა და პოლიტიკოსის მიმართ, თუმცა, ანა კომნენესგან განსხვავებით, რომელიც იდეალურად, თითქმის წმინდანად წარმოაჩენდა ანა დალასინის, კავაფისი არ უგულუბელყოფს იმ ფაქტს, რომ კომნენოსთა ოჯახის წარმომადგენელი ქალები ძალაუფლების მოყვარულები იყვნენ.

კონსტანტინოს კავაფისი თავის მცირე ზომის ლექსებში ცნობილ ბიზანტიელ ქალთა თვალსაჩინო პორტრეტებს ქმნის. ამ მინიატურულ<sup>29</sup> პორტრეტებში ისტორიული პიროვნებების მიღმა კომნენოსთა დროინდელი ბიზანტიის იმპერიის სურათიც იკვეთება. ლექსში აღბეჭდილია მთელი ეპოქის სული. ჩვენამდე აღწევს XI-XII საუკუნეებში ბიზანტიაში გამართული გამუდმებული ომების, შეთქმულებებისა და ინტრიგების ექო. ამ ქარტეხილებით აღსავსე მოვლენების ფონზე კი წარმოჩინდება ორი ძლიერი, გონიერი და გაბედული ქალის სახე, რომლებიც სიტყვითა და საქმით მამაკაცებს არ ჩამოუვარდებიან. პირიქით, გარკვეულწილად, მათზე აღმატებულებიც არიან. კონსტანტინოს კავაფისი, შეიძლება ითქვას, რომ ახალ ისტორიას წერს ლექსად და სხვადასხვა წყაროს შეჯერებით, ისტორიული პიროვნებებისა და მოვლენების საკუთარ შეფასებას გვთავაზობს. იგი ისტორიულ სინამდვილეს მხატვრულად აღადგენს და თანამედროვე პოეტი-ისტორიკოსის

<sup>28</sup> Καβάρτζ 1982, 90-91.

<sup>29</sup> თანამედროვე ბერძენი მწერალი და კრიტიკოსი გრიგორიოს ქსენოპულოსი თავის სტატიაში „ერთი პოეტი“ აღნიშნავს, რომ „კავაფისის ლექსი არის მინიატურა, რომელიც მთელ სამყაროს იტევს.“ Ξενοπούλιος 1997, 26.

თვალთ დანახული ანა კომნენესა და ანა დალასინის სახეებს მისთვის ჩვეული ოსტატობით წარმოგვიდგენს.

### **ბიბლიოგრაფია:**

Βαρζός, Κωνσταντίνος. 1984. *Η γενεαλογία των Κομνηνών*. Θεσσαλονίκη: Κέντρο Βυζαντινών Ερευνών.

Garland, Lynda. 1999. *Byzantine Empresses: Women and Power in Byzantium AD 527-1204*. New York: Routledge.

Hill, Barbara. 1999. *Imperial Women in Byzantium 1025-1204: Power, Patronage and Ideology*. New York: Routledge.

Καβάφης, Κωνσταντίνος. 1982. *Πεζά*. Αθήνα: Εκδόσεις Πανταζή Φύκιρη.

Καβάφης, Κωνσταντίνος. 2002. *Τα ποιήματα*. Β'. (1919-1933). Επιμ. Γ. Π. Σαββίδης. Αθήνα: Ίκαρος Εκδοτική Εταιρία.

Comnena, Anna. 1839. *Alexias*. Bonn: Weber. accessed 30 December 2021;

<https://scaife.perseus.org/reader/urn:cts:greekLit:tlg2703.tlg001.op-p-grc1:3.6/index.html>; Internet.

Καρπόζηλος, Απόστολος. 2009. *Βυζαντινοί ιστορικοί και χρονογράφοι. 11ος-12ος αι.* Τόμος Γ. Αθήνα: Εκδόσεις Κανάκη.

Κωστίου, Κατερίνα. 2015. «Ο Καβάφης και η (μετα)ποίηση της ιστορίας. Από την Αλεξιάδα στην «Άννα Κομνηνή» και στην «Άννα Δαλασσηνή». *Κονδυλοφόρος. Ετήσια έκδοση Νεότερης Ελληνικής Φιλολογίας. Τόμος 14*: 147-170. Ρέθυμνο: Πανεπιστημιακές Εκδόσεις Κρήτης.

McCarty, V.K. 2016. "Anna Komnene's Alexiad: Legacy from the Good Daughter (Kale Thugater)". *Love, Marriage and Family in Eastern Orthodox Perspective: 44 (Gorgias Eastern Christian Studies)*. 169-185. NJ: Gorgias Press.

Μαλάνος, Τίμος. 1933. *Ο Καβάφης. Ο άνθρωπος και το έργο του*. Αθήνα: Δίφρος.

Ξενόπουλος, Γρηγόριος. 1997. «Ένας ποιητής», *Εισαγωγή στην ποίηση του Καβάφη. Επιλογή κριτικών κειμένων*. Επιμ. Μιχάλης Πιερής, 23-35. Ηράκλειο: Πανεπιστημιακές Εκδόσεις Κρήτης.

Παλαμάς, Κώστας. 1930. «Η Βυζαντινή κληρονομία εις την νέαν ελληνικήν ποίησιν». *Νέα Εστία* 8: 1180-1184.

Ροδοκανάκης, Πλάτων. 2010. *Η βασίλισσα και αι βιζαντιναί αρχόντισσαι*. Αθήνα: Εκάτη.

Ρούπα, Ευφροσύνη. 2012. «Το κίνημα αναβίωσης της βυζαντινής (λαϊκοβυζαντινής) παράδοσης στις αστικές εφαρμοσμένες τέχνες την περίοδο του μεσοπολέμου». Β΄ *Επιστημονικό Συμπόσιο Νεοελληνικής Εκκλησιαστικής Τέχνης – Πρακτικά*. 315-343. Αθήνα: Εθνικό και Καποδιστριακό Πανεπιστήμιο Αθηνών.

ყაუხჩიშვილი, სიმონ. 1966. *გეორგიკა. ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ*. ტომი VI. თბილისი: გამომცემლობა „მეცნიერება“.

Zonarae, Ioannis. 1871. *Epitomae Historiarum*. Vol. IV. Ed. Ludovicus Dindorfius. Lipsiae: In Aedibus B.G.Teubneri.



**Tea Gamrekeli**

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

**The Images of Byzantine Women According to Constantine Cavafy's  
Poems *Anna Komnene* and *Anna Dalassene***

*Key words: Cavafy, Byzantium, Alexiad, Anna Komnene, Anna Dalassene*

Much of the poetry of the Modern Greek poet Constantine Cavafy deals with Byzantium, the Byzantine emperors, and Byzantine culture. Cavafy's interest in Byzantium is evident early in his poetic career and manifests itself throughout his poetry. This interest was partly due to Cavafy's origins: The Alexandrian-born poet, who lived over two years in Constantinople, his mother's hometown, considered himself as the heir of the Byzantine world. Cavafy, as he himself claimed, was a 'poet-historian.' He composed poems and wrote history. Cavafy divided his historical and pseudo-historical poems into thematic categories. He grouped the poems on Byzantium and called the collection 'Byzantine Days.' The Alexandrian poet took a special interest in the Komnenos dynasty. This paper deals with two famous Byzantine female figures – Anna Komnene and Anna Dalassene, Alexios I Komnenos' family members. In the paper, we will discuss the poems *Anna Komnene* and *Anna Dalassene* which Cavafy created based on the same historical source *Alexiad*, and see what is important and noteworthy to Cavafy, both as a historian and as a poet, how he uses historical information in his poems, how he expresses his poetic utterance based on that information, and how he creates the portraits of famous Byzantine women.